ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტებში

კვლევის პერიოდი: აპრილი 2013 – სექტემბერი 2014

ოქტომბერი, 2014 წ.

ავტორი: **ნინო მერებაშვილი**

წინამდებარე კვლევა მომზადდა ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ (IDFI) მიერ პროექტის - **საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა -** www.opendata.ge“- **ფარგლებში**

პროექტი ხორციელდება **ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“** ფინანსური მხარდაჭრით.

კვლევის შინაარსზე პასუხისმგებელია ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI). კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლებელია არ გამოხატავდეს ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ პოზიციას.

© ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI). 2014 წელი. ყველა უფლება დაცულია

შესავალი

შესავალი 4

მოთხოვნილი და მიღებული საჯარო ინფორმაცია 4

ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი საქართველოს სახელმწიფო უნივერისტეტებში 8

1. სახელმწიფო უნივერსიტეტების სწავლების საფასურის გადახდით მიღებული შემოსავალი 10

2. სახელმწიფო უნივერსიტეტების ბალანსზე რიცხული ავტომობილები 11

3. პრემიები სახელმწიფო უნივერსიტეტებში 12

3.1 უნივერსიტეტების თანამშრომლებზე გაცემული პრემიები 12

3.2 რექტორებსა და მათ მოადგილეებზე დარიცხული პრემიები 12

4. დანამატები სახელმწიფო უნივერსიტეტებში 14

4.1 უნივერსიტეტების თანამშრომლებზე გაცემული დანამატები 14

4.2 რექტორებსა და მათ მოადგილეებზე დარიცხული დანამატები 15

5. პრემიები და დანამატები სახელმწიფო უნივერსიტეტებში 16

6. წარმომადგენლობითი ხარჯები სახელმწიფო უნივერსიტეტებში 16

7. სახელმწიფო უნივერსიტეტების მიერ სტუდენტური თვითმმართველობების დაფინანსება 18

8. სახელმწიფო უნივერსიტეტების მიერ წიგნების შესყიდვისთვის გამოყოფილი თანხები 19

9. სახელმწიფო უნივერსიტეტების მიერ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაზე გამოყოფილი და დახარჯული თანხები 20

10. ქვეყნის გარეთ განხორცილებული ვიზიტების სამივლინებო ხარჯები სახელმწიფო უნივერსიტეტებში 21

11. გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებული შესყიდვები სახელმწიფო უნივერსიტეტებში 22

12. სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ სტატისტიკა სახელმწიფო უნივერსიტეტებში 23

სხვადასხვა ფინანსური მონაცემების შედარება უნივერსიტეტებში 24

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 24
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი 26
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 28
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი 30
დასკვნა 32

შესავალი

2013 წლის ოქტომბერში ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) ფონდ ღია საზოგადოება საქართველოს მხარდაჭერით, განაახლა პროექტი საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა - www.opendata.ge, რომელიც წარმოადგენს 2010 წელს ინსტიტუტის მიერ დაწყებული პროექტის გაგრძელებას. პროექტის ფარგლებში, ინსტიტუტის მიერ განხორციელებული საქმიანობის მიზანია საქართველოს საჯარო დაწესებულებებში ინფორმაციის თავისუფლების უფლების აღსრულების მონიტორინგი. წინა პროექტების მსგავსად, IDFI კვლავაც აგრძელებს ადმინისტრაციული ორგანოებიდან საჯარო ინფორმაციის მოთხოვნას და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრაქტიკის შეფასებას.

ამჟამად წარმოგიდგენთ კვლევას, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტებში.

მოთხოვნილი და მიღებული საჯარო ინფორმაცია

მოცემული კვლევის პერიოდში IDFI-იმ საქართველოში აკრედიტირებულ 10 უნივერსიტეტს 2013 წლის აპრილს გაუგზავნა 190 საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა (აღსანიშნავია, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტს განცხადება საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ ხელახლა გაეგზავნათ 2014 წლის 15 სექტემბერს). საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის განცხადებებში ინსტიტუტი ითხოვდა ისეთი სახის ინფორმაციის მოწოდებას, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის თანახმად არის ღია საჯარო ინფორმაცია.

პროექტის ფარგლებში ყველა უნივერსიტეტს გაეგზავნა იდენტური შეკითხვები როგორც შინაარსობრივად, ისე რაოდენობრივად.

უნივერსიტეტებისთვის გაგზავნილი მოთხოვნების ჩამონათვალი ასე გამოიყურება:

1) 2013 წელს რექტორზე დარიცხული პრემიების ოდენობა თვეების მიხედვით
2) 2013 წელს რექტორის მოადგილეებზე (ცალ-ცალკე სახელისა და გვარის მითითებით) დარიცხული პრემიების ოდენობა თვეების მიხედვით;
3) 2013 წელს რექტორზე დარიცხული სახელფასო დანამატების ოდენობა თვეების მიხედვით;
4) 2013 წელს რექტორის მოადგილეებზე (ცალ-ცალკე სახელისა და გვარის მითითებით) დარიცხული სახელფასო დანამატების ოდენობა თვეების მიხედვით;

5) 2013 წელს უნივერსიტეტის თანამშრომლებზე (საერთო ოდენობა) დარიცხული პრემიების ოდენობა თვეების მიხედვით;
6) 2013 წელს უნივერსიტეტის თანამშრომლებზე (საერთო ოდენობა) დარიცხული სახელფასო დანამატების ოდენობა თვეების მიხედვით;
7) 2013 წელს გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები; (კონკრეტული ღონისძიებების ჩამონათვალის, თითოეულზე დახარჯული თანხის, ღონისძიების ჩატარების დროის, ადგილისა და მოწვეულ სტუმართა, და თქვენი დაწესებულებისგან წარმოდგენილ დამსწრე პირთა ოდენობის მითითებით);
8) 2013 წელს საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის თანახმად, შესყიდვის გადაუდებლად განხორციელების აუცილებლობის შესახებ შესაბამისი მიწერილობა (წერილობითი შეთანხმება) შემსყიდველის ზემდგომ ან სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოსთან/თანამდებობის პირთან;
9) 2013 წელს გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებული შესყიდვების სია, შესყიდვის სახეობის, მოცულობის, ობიექტისა და თანხის მითითებით;
10) იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებების სია, რომელიც სახელმწიფო შესყიდვების მოქმედი კანონმდებლობით ახალი, იმავე ან გაუმჯობესებული პარამეტრების მქონე ერთი ან ერთზე მეტი ავტოსატრანსპორტო საშუალებით, ჩანაცვლდა (თითოეულის მიმართ ახალი ღირებულებისა და ჩასანაცვლებელი ქონების შეფასებული ღირებულების მითითებით);
11) ბალანსზე რიცხული ავტომობილების ჩამონათვალი (ავტომობილის მოდელის, ავტომობილის გამოშვების წელის, შესყიდვის თარიღის, შესყიდვის ფასის და ნარჩენი ღირებულების მითითებით. ასევე საჯარო მოხელის თანამდებობა, რომელსაც გადაცემული აქვს მფლობელობაში შესაბამისი ავტოსატრანსპორტო საშუალება);
12) 2013 წლის აუდიტორული შემოწმების (შიდა, გარე, სახელმწიფო და არასახელმწიფო) აქტები;
13) 2013 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში;
14) 2010 - 2013 წლებში (ცალ-ცალკე) უნივერსიტეტის მიერ სტუდენტების სწავლის საფასურის გადახდით მიღებული შემოსავლების ოდენობა (სწავლის საფეხურებისა და დაფინანსების კატეგორიების მიხედვით);
15) 2010-2013 წლებში (ცალ-ცალკე წლების მიხედვით) სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაზე გამოყოფილი და დახარჯული თანხების ოდენობა დაფინანსების წყაროს მითითებით;
16) 2010-2013 წლებში (ცალ-ცალკე წლების მიხედვით) სტუდენტური თვითმმართველობებისთვის გამოყოფილი და დახარჯული თანხების ოდენობა;
17) 2010-2013 წლებში (ცალ-ცალკე წლების მიხედვით) საბიბლიოთეკო და არა საბიბლიოთეკო ფონდებისთვის (ცალ-ცალკე) წიგნების შესყიდვაზე გამოყოფილი და დახარჯული თანხების ოდენობა;
18) 2010-2013 წლებში (ცალ-ცალკე წლების მიხედვით) სტუდენტებისათვის სტატუსის შეჩერების სტატისტიკა (სტუდენტის სტატუსის შეჩერების მიზეზების მიხედვით);

19) 2013 წელს რექტორისა და მისი მოადგილეების ქვეყნის გარეთ განხორციელებულ ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტებზე გაწეული სამივლინებო ხარჯების (სასტუმრო, მგზავრობა, დღიური და სხვა) შესახებ ჩაშლილი ინფორმაცია (ხარჯვითი კატეგორიების მიხედვით), მივლინების თარიღის, მივლინების მიზნისა და ქვეყნის მითითებით.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო შემდეგმა უნივერსიტეტებმა:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
3. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
4. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
5. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
6. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერისტეტი
7. ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
8. შ. მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
9. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
10. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კვლევის პერიოდში (აპრილი 2013 – სექტემბერი 2014) გაგზავნილი 190 მოთხოვნიდან სრულყოფილი პასუხი მივიღეთ 96 მოთხოვნაზე. 24 შემთხვევაში მოგვწეოდა არასრულყოფილი ინფორმაცია. ინფორმაციის მოწოდებაზე უარი გვეთქვა ან შეკითხვა უპასუხოდ იქნა დატოვებული 28 შემთხვევაში (აქედან 19 მოთხოვნა უპასუხოდ დატოვა აკაკი წერეთელი სახელმწიფო უნივერსიტეტმა, რომელმაც უყურადღებოდ დატოვა ჩვენი განცხადება საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ), ხოლო 42 შემთხვევაში გვეცნობა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებას არ გააჩნდა მოთხოვნილი ინფორმაცია ან/და არ ქონდა განხორცილებული კონკრეტული ქმედება.

აღსანიშნავია, რომ გორის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ გვეცნობა, რომ ფინანსური დოკუმენტაცია ამოღებული იყო გორის პროკურატურის მიერ. სამწუხაროდ, არ იქნა დაკონკრეტებული ჩვენს მიერ მოთხოვნილი, რომელი დოკუმენტაცია არ ინახებოდა უნივერსიტეტში, შესაბამისად ვუშვებთ ვარაუდს, რომ კონკრეტულ შემთხვევებში გორის უნივერსიტეტის მიერ ინფორმაციის მოწოდებაზე უარის თქმა ან არასრულყოფილი ინფორმაციის მოწოდება განპირობებული იყო სწორედ პროკურატურის მიერ დოკუმენტაციის ამოღებით.

ქვემოთ მოცემული დიაგრამაზე ასახული არ არის უნივერსიტეტებიდან მიღებული ისეთი პასუხები, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებები იუწყებოდნენ, რომ მათ ინფორმაცია არ გააჩნდათ ან კონკრეტული ქმედება არ განუხორციელებიათ. შესაბამისად დიაგრამაზე წარმოდგენილია მონაცემები 148 განცხადებაზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან მიღებული ინფორმაცია
www.idfi.ge



საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად საჯარო დაწესებულება ვალდებულია საჯარო ინფორმაცია გასცეს დაუყოვნებლივ. განსაკუთრებულ შემთხვევებში როდესაც მაგალითად მოთხოვნილ ინფორმაცია არის დიდი მოცულობის, ინახება სხვა დაწესებულებაში ან საჭიროებს კონსულტაციას სხვა საჯარო უწყებასთან ინფორმაციის გაცემის ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს 10 დღემდე. 10 დღიანი ვადის გამოყენების შესახებ საჯარო დაწესებულება ვალდებულია მოთხოვნისთანავე აცნობოს განმცხადებელს. მიუხედავად ამისა, ინტიტუტმა გაითვალისწინა რა ის გარემოება, რომ ხშირ შემთხვევაში მოთხოვნილი ინფორმაცია იყო დიდი ოდენობის, კვლევის მიზნებისთვის ვადის დაცვად მიჩნეულ იქნა ინფორმაციის გაცემა 10 დღის ვადაში.

უნივერსიტეტებისთვის გაგზავნილი 190 მოთხოვნიდან ინსტიტუტმა 13 შემთხვევაში ინფორმაცია მიიღო 10 დღიანი ვადის დაცვით, ხოლო დანარჩენ 177 შემთხვევაში კი ადგილი ქონდა 10 დღიანი ვადის დარღვევას, მათ შორის მოთხოვნის უპასუხოდ დატოვების გზით.

საჯარო ინფორმაციის გაცემისთვის გათავლისიწნებული 10 დღიანი ვადის დაცვა
www.idfi.ge



ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი საქართველოს სახელმწიფო უნივერისტეტებში

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტებში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებლის შედგენისას უნივერსტიტეტთა რეიტინგზე უარყოფითი გავლენა არ მოუხდენია ისეთ შემთხვევებს როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულები იუწყებოდნენ, რომ მათ არ გააჩნდათ მოთხოვნილი ინფორმაცია ან/და არ ქონდათ განხორცილებული კონკრეტული ქმედება.

IDFI-ის შეფასებით საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტებში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საშუალო მაჩვენებელი 75.7% შეადგენს. რაც შეეხება ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ყველაზე მაღალი მაჩვენებლის მქონე უნივერსიტეტს, აღნიშნულს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი წარმოადგენს რეიტინგის 100%–ით. რეიტინგში მეორე ადგილზე თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტია 99%–ით. თელავის სახელმწიფო უნივერისტეტს მცირედით ჩამორჩება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. აქ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი 89.2%-ით. ივ.

ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მოსდევს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სადაც ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი 88.3% არის. შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი მცირედით უსწრებს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის სადაც ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაცვენებელი 87.3%–ით არის შეფასებული. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი მოცემულ რეიტინგში მეექვსე ადგილს იკავებს 80.8%–ით. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებლით შემდეგი ადგილი უკავია ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტს 77.4%-ით, მას მოსდევს გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი 70% და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი 64.7%–ით. ამასთან აღსანიშნავია რომ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ყველაზე დაბალი მაჩვეენებლი აკაკი წერეთელის სახელმწიფო უნივერსიტეტშია, რომელმაც სამწუხაროდ უყურადღებოდ დატოვა ინსტიტუტის განცხადება საჯარო ინფორმაციის მიღების შესახებ, შესაბამისად აღნიშნული უნივერსიტეტიდან არც–ერთ შეკითხვაზე პასუხი არ მიგვიღია.



1. სახელმწიფო უნივერსიტეტების სწავლების საფასურის გადახდით მიღებული შემოსავალი

IDFI-იმ განცხადებით მიმართა სახელმწიფო უნივერსიტეტებს და მოითხოვა ინფორმაცია 2010 - 2013 წლებში (ცალ-ცალკე) უნივერსიტეტის მიერ სტუდენტების სწავლის საფასურის გადახდით მიღებული შემოსავლების ოდენობის შესახებ, სწავლის საფეხურებისა და დაფინანსების კატეგორიების მიხედვით. აღნიშნული მონაცემები სრულყოფილი სახით ხუთმა უნივერსიტეტთა მოგვაწოდა. კერძოდ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტებმა ინფორმაცია სწავლის საფასურის გადახდის შედეგად მიღებული შემოსავლების შესახებ, მოთხოვნის შესაბამისად სწავლის საფეხურისა და დაფინანსების კატეგორიის მიხედვით მოგვაწოდეს. დანარჩენმა ოთხმა უმაღლესმა საგანმანათლებო დაწესებულებამ კი ინფორმაცია არასრულყოფილი სახით გამოგვიგზავნა.

როგორ ქვემოთ მოცემულ გრაფიკზეა გამოსახული, **სწავლის საფასურის გადასახადით ყველაზე მაღალი შემოსავალი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აქვს მიღებული და ის დაახლოებით 150 მილიონ ლარამდეა.** შემდეგი მოცემულ სიაში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტია, 108 890 384 ლარის ოდენობის შემოსავლით. ყველაზე დაბალი შემოსავლის მქონე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები კი ზუგდიდისა და გორის უნივერსიტეტებია, შესაბამისად 4 272 593 და 3 615 000 ლარით.



2. სახელმწიფო უნივერსიტეტების ბალანსზე რიცხული ავტომობილები

ინსტიტუტი დაინტერესდა იმით, თუ რა რაოდენობისა და ღირებულების ავტომობილები ირიცხებოდა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა ბალანსზე. შესაბამისად აღნიშნული მოთხოვნით მივმართეთ საქართველოს ყველა სახელმწიფო უნივერსიტეტს. ინფორმაცია არასრულყოფილი სახით მოგვაწოდა მხოლოდ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა, კერძოდ ამ უკანასკნელმა არ მოგვაწოდა ინფორმაცია მის ბალანსზე რიცხული ავტომობილების ღირებულების (საბალანსო დ ნარჩენი) შესახებ. ყველა სხვა უნივერსიტეტმა მონაცემები სრულყოფილი სახით გამოგვიგზავნა.

მიღებული ინფორმაციიდან დგინდება, რომ ბალანსზე არსებული ავტომობილების ნარჩენი ღირებულებით ლიდერობს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი (153 668.6 ლარი). ბალანსზე არსებულ ავტომანქანათა ნარჩენი ღირებულებით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს მოსდევს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ასევე საკმაოდ მაღალია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხულ ავტომობილთა ნარჩენი ღირებულება და ის ჯამში 144 484,61 ლარს უდრის. ავტომობილთა ყველაზე დაბლი ნარჩენი ღირებულება კი სოხუმის უნივერსიტეტის შემთხვევაშია – 13 569.7 ლარი.



აღსანიშნავია, რომ IDFI-იმ საქართველოში მოქმედ ყველა სახელმწიფო უნივერსიტეს მოსთხოვა ასევე ინფორმაცია ავტომობილთა ჩანაცვლების შესახებ, თუმცა ყველა

დაწესებულებამ განგვიმარტა, რომ 2013 წლის განმავლობაში ავტომობილთა ჩანაცვლებას ადგილი არ ქონია. გამონაკლისია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელმაც ინფორმაცია ავტომობილთა ჩანაცვლების შესახებ საერთოდ არ მოგვაწოდა.

3. პრემიები სახელმწიფო უნივერსიტეტებში

IDFI-იმ საქართველოში არსებულ ყველა სახელმწიფო უნივერსიტეტს მიმართა მოთხოვნით 2013 წელს რექტორსა და მის მოადგილეებზე (ცალ-ცალკე სახელისა და გვარის მითითებით) ისევე როგროც სხვა თანამშრომლებზე (ჯამური რიცხვი) გაცემული პრემიების ოდენობის შესახებ მონაცემების მიღების მიზნით. შესაბამისად წარმოგიდგენთ უნივერსიტეტებიდან მიღებულ ინფორმაციას რექტორებსა და მათ მოადგილეებზე, ისევე როგორც სხვა თანამშრომლებზე დარიცხული პრემიებისა შესახებ ცალ–ცალკე.

3.1 უნივერსიტეტების თანამშრომლებზე გაცემული პრემიები

უნივერსიტეტებიდან მიღებული ინფორმაციიდან დგინდება, რომ **ყველაზე დიდი რაოდენობით პრემია გაცემულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ის 2 081 667,21 ლარს შეადგენს.** პრემიების გაცემის მაღალი მაჩვენებელია ასევე საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2 051 457,54 ლარი. საგრძნობლად დაბალია გაცემული პრემიების რაოდენობა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, შოთა რუსთველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტებში სადაც აღნიშნული თანხები 421 326 ლარიდან 881 066 ლარამდე მერყეობს. სხვა უნივერსიტეტებთან შედარებით დაბალი პრემიები არის გაცემული თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტებში, აღნიშნული თანხები შესაბამისად 149 437,5 და 109 370 ლარს შეადგენს. პრემია საერთოდ არ გაცემულა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

3.2 რექტორებსა და მათ მოადგილეებზე დარიცხული პრემიები

რექტორსა და მის მოადგილეებზე დარიცხული პრემიების შესახებ ინფორმაცია მოგვაწოდა ყველა უნივერსიტეტმა გარდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა, რომელმაც ჩვენი კითხვა უპასუხოდ დატოვა.

რექტორსა და მის მოადგილეებზე გაცემული პრემიების სურათი შემდეგნაირია. **ყველაზე დიდი რაოდენობით პრემია გორის სახელმწიფო უნივერსტიტეტის რექტორსა და მის მოადგილეებზეა გაცემული – 26 753 ლარი.** კერძოდ რექტორ ბატონ გიორგი სოსიაშვილზე პრემია 2013 წლის განმავლობაში სულ ხუთჯერ გაიცა და ის ჯამში 8 097 ლარს უდრიდა. რექტორის მოადგილეებზე გიორგი ხორბალაძეზე, ალ. მღებრიშვილზე, ზაქარია

დოთიაშვილსა და ბერიკა შუკაკიძეზე კი შესაბამისად 2013 წელს გაცემულია პრემიები 6 718, 6 838, 2 600 და 2 500 ლარის ტოლია.

პრემიების გაცემის სიდიდით მეორე ადგილზეა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სადაც მოცემული კატეგორიის პირებზე გაიცა პრემია ჯამში 19 982 ლარის ოდენობით. აქვე კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა სამწუხაროდ არ მოგვაწოდა ინფორმაცია რექტორის მოადგილეებზე გაცემული პრემიების შესახებ ცალ–ცალკე სახელისა და გვარის მითითებით, ხოლო რექტორ აკადემიკოს ვლადიმერ პაპავასთან დაკავშირებით კი გვაცნობა, რომ მას 2013 წლის განმავლობაში პრემია არ აუღია.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს რექტორსა და მის მოადგილეებს მცირედით ჩამოუვარდებიან საქართველოს ტექნიკური უნივერსტიტეტი და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი. აღნიშნულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში რექტორებსა და მის მოადგილეებზე შესაბამისად გაცემულია პრემიები 18 550 ლარისა და 17 600 ლარის ოდენობით. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორს ბატონ არჩილ ფრანგიშვილს 2013 წლის განმავლობაში მიღებული აქვს პრემია იანვრისა და დეკემბრის თვეებში, 2800 და 4700 ლარის ოდენობით, მის ორ მოადგილეზე კი იანვრის თვეში გაცემულია პრემია 2 200 ლარის ოდენობით თითოზე და 3 110 და 3 540 ლარის ოდენობით დეკემბრის თვეში კი.

რაც შეეხება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერისტეტის რექტორს ბატონ ზურაბ ვადაჭკორიას, მას პრემია 2013 წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ აქვს აღებული 3 600 ლარის ოდენობით. დეკემბრის თვეში დაერიცხათ პრემია რექტორის სამ მოადგილესაც. კერძოდ ბატონ კახაბერ ჭელიძეს 3 000 ლარის, რიმა ბერიაშვილს 6 000 ლარისა და გიორგი



აბესაძეს 5 000 ლარის ოდენობით.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან შედარებით 10 ათასი ლარით ნაკლები პრემია არის გაცემული შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ის ჯამში 7 600 ლარს შეადგენს. შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორზე გაიცა პრემია 2 700 ლარის ოდენობით, ხოლო მის მოადგილეებზე კი ჯამში 4 900 ლარის ოდენობით.

მცირე რაოდენობით არის გაცემული პრემია ზუგდიდისა და თელავის უნივერსიტეტებში, შესაბამისად 4 620 და 2 650 ლარის ოდენობით. თუმცა აღსანიშნავია, რომ ზუგდიდის უნივერსტიტეტის რექტორს არ ყავს მოადგილეები შესაბამისად აღნიშნული თანხა –4 620 ლარი 2013 წლის განმავლობაში მხოლოდ რექტორზე გაცემული პრემიაა.

პრემია არ გაცემულა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

4. დანამატები სახელმწიფო უნივერსიტეტებში

საქართველოში მოქმედ ყველა სახელმწიფო უნივერსიტეტს IDFI-იმ მიმართა ასევე უმაღლეს სასწავლებლებში გაცემული დანამატების შესახებ ინფორმაციის მიღების მიზნით.

4.1 უნივერსიტეტების თანამშრომლებზე გაცემული დანამატები

უმაღლესი სასწავლებლიდან მიღებული ინფორმაციიდან დგინდება, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაცემულ დანამატები მნიშვნელოვნად უსწრებს ყველა სხვა უნივერსიტეტში გაცემული დანამატების რაოდენობას. **კერძოდ თსუ-ს თანამშრომლებზე გაცემულ იქნა დანამატი 4 448 175 ლარის ოდენობით.** დანამატების გაცემის ოდენობის მიხედვით შემდეგ ადგილზე სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტია 524 852 ლარით. 180 353.5 ლარია გაცემული დანამატის სახით საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტსა და ილიას სხელმწიფო უნივერსიტეტში გაცემული დანამატების რაოდენობა შესაბამისად 57 080.51 და 44 200 ლარია. 5 651 ლარი დანამატია გაცემული ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტში. რაც შეეხება შოთა რუსთაველის სახელობის, თელავისა და გორის სახელმწიფო უნივერისტეტებს აღნიშნულ დაწესებულებებში დანამატი 2013 წლის განმავლობაში საერთოდ არ იქნა გაცემული.



4.2 რექტორებსა და მათ მოადგილეებზე დარიცხული დანამატები

ისევე, როგორც პრემიების შემთხვევაში, IDFI-იმ სახელმწიფო უნივერსიტეტებს მიმართა განცხადებით რექტორსა და მათ მოადგილეებზე გაცემული დანამატების შესახებ ინფორმაციის მიღების მიზნით. **აღსანიშნავია რომ ამ შემთხვევაშიც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა არ მოგვაწოდა ინფორმაცია რექტორსა და მის მოადგილეებზე დარიცხული დანამატების შესახებ და ჩვენი შეკითხვა უპასუხოდ დატოვა.**

ამასთან ჩვენთვის მოწოდებული ინფორმაციიდან დგინდება, რომ რექტორსა და მის მოადგილეებზე დანამატი გაიცა მხოლოდ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2 985 ლარის ოდენობით და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში 3 724,7 ლარის ოდენობით. კერძოდ, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსტიტეტის ლექტორზე ბატონ ზურაბ ვადაჭკორიაზე დანამატი ყოველ თვე გაიცემოდა და ის ჯამში 1 520,54 ლარს შეადგენს, მის მოადგილეებზე კი 2013 წლის განმავლობაში ჯამში გაიცა დანამატი 2 204,17 ლარის ოდენობით. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორზე დანამატი 2013 წლის განმავლობაში სამჯერ გაიცა და ის ჯამში 2 985 ლარს შეადგენდა (რექტორს მოადგილეები არ ყავს).

რექტორსა და მის მოადგილეებზე დანამატი არ გაცემულა არცერთ სხვა უნივერსიტეტში.

5. პრემიები და დანამატები სახელმწიფო უნივერსიტეტებში

უმაღლესი საგანმანთლებლო დაწესებულებებიდან მიღებული მონაცემებიდან შეგვიძლია ასევე ვიხილოთ თუ რა რაოდენობის პრემია და დანამატი იქნა გაცემული ჯამში უნივერსიტეტებში. **ამ მხრივაც ლიდერობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 6 549 824.86 ლარით.** თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტს მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება ტექნიკური უნივერსიტეტი 2 250 361 ლარით. 448 079 ლარიდან 938 146.5 ლარამდე მერყეობს უნივერსიტეტებში გაცემული პრემიებისა და დანამატების რაოდენობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, სოხუმის სახელმწიფო უნივერისტეტსა და გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში.



6. წარმომადგენლობითი ხარჯები სახელმწიფო უნივერსიტეტებში

IDFI-იმ საქართველოში არსებულ ყველა სახელმწიფო უნივერისტეტს მოსთხოვა ინფორმაცია უმაღლესი დაწესებულების მიერ 2013 წლის განმავლობაში გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯების შესახებ, კონკრეტული ღონისძიებების ჩამონათვალის, თითოეულზე დახარჯული თანხის, ღონისძიების ჩატარების დროის, ადგილისა და მოწვეულ სტუმართა, და დაწესებულებისგან წარმოდგენილ დამსწრე პირთა ოდენობის მითითებით.

აღნიშნული ხარჯების შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა, თელავის, ზუგდიდისა და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტებმა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და გორის სახელმწიფო უნივერსიტეტმა კი ინფორმაცია არასრულყოფილი სახით მოგვაწოდეს.

მიღებული ინფორმაციიდან დგინდება, რომ ყველაზე დიდი რაოდენობით წარმომადგენლობითი ხარჯი გაწეულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 470 312.8 ლარის ოდენობით. ყველაზე ნაკლები წარმომადგენლობითი ხარჯი 2843.3 ლარის ოდენობით კი ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს გაწეული.

აღსანიშნავია, რომ საკმაოდ მაღალი წარმომადგენლობითი ხარჯებია გაწეული სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით განხორციელებულ ღონისძიებებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მაგალითად, ტრანსპორტით მომსახურებაში სტუდენტების შემეცნებითი ექსკურსიების ფარგლებში 2013 წლის 15–16 ივნისს დაიხარჯა 10 200 ლარი, 29 776,56 ლარი გამოიყო გუდაურში თვითმმართველობის ადმინისტრაციის წევრებისა და დელეგაციისთვის სატრენინგო კურსების მიმდინარეობისას ოთხი დღით სასტუმრო მომსახურებაში. ამასთან საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ 21 100 ლარი იქნა დახარჯული სასაჩუქრე სუვენირების შესაძენად 2013–2014 სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ყველაზე მაღალი წარმომადგენლობით ხარჯი იმიტირებულ სასამართლო პროცესში მონაწილე პირების ოქსფორდში გამგზავრებაზე დაიხარჯა და ის 11 876.11 ლარს უდრიდა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ყველაზე მაღალი ოდენობით წარმომადგენლობით ხარჯი 2013 წლის 9–12 მაისს შპს ვერე–პალასში გამართულ ევროპის მედიკოს სტუდენტთა ასოციაციის ყოველწლიურ შეხვედრაზე გამოიყო –15 186,33 ლარი.

რაც შეეხება ტექნიკურ უნივერსიტეტს შეიძლება ითქვას რომ ღონისძიება, რომელიც ყველაზე ძვირი დაჯდა იყო საკალათბურთო ტურნირის ორგანიზება სტუ–სა და მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტებს შორის, აღნიშნულ ღონისძიებაზე დაიხარჯა 2 938 ლარი.

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გაწეული ყველაზე მაღალი წარმომადგენლობითი ხარჯი 3 ოქტომბერს ჩატარებულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზებას მოხმარდა და ის 4 130 ლარი დაჯდა.

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შემთხვევაში აღსანიშნავია საერთაშორისო კონფერენცია „ბიზანტიოლოგია საქართველოში“ ფარგლებში საფურშეტო მომსახურებისთვის დახარჯული 3 600 ლარი.

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ინფორმაცია წარმომადგენლობითი ხარჯების შესახებ მხოლოდ ჯამური სახით მოგვაწოდა და ის 2013 წლის განმავლობაში 11 530 ლარს უდრიდა.

ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გაწეული ყველაზე მაღალი წარმომადგენლობით ხარჯი ტემპუსის პროგრამა „სტუდენტური–კარიერული მომსახურების განვითარება საქართველოში“ ფარგლებში ექსპერტების სტუმრობასთან დაკავშირებით სადილის მოწყობისთვის განხორციელდა და ის 630,3 ლარს უდრიდა.



7. სახელმწიფო უნივერსიტეტების მიერ სტუდენტური თვითმმართველობების დაფინანსება

სხვა ინფორმაციასთან ერთად, ჩვენ უნივერსიტეტებიდან ასევე მოვითხოვეთ ცნობები 2010-2013 წლების განმავლობაში სტუდენტური თვითმმართველობებისთვის გამოყოფილი და დახარჯული ფინანსების შესახებ. მოცემულ შეკითხვაზე სრულყოფილი პასუხი მივიღეთ ყველა უნივერსიტეტიდან. არასრულყოფილი პასუხი მხოლოდ სოხუმისა და გორის სახელმწიფო უნივერსიტეტებიდან მივიღეთ. დანარჩენი უნივერსიტეტების შემთხვევაში კი ცნობები სრულყოფილი სახით მოგვეწოდა.

რაც შეეხება სტუდენტური თვითმმართველობებისთვის გამოყოფილ თანხებს ისინი ასე გამოიყურება. **ყველაზე დიდი რაოდენობით დაფინანსება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თვითმმართველობას ქონდა და ის 1 776 870 ლარის ტოლია.** შემდეგი სიაში

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტებია. ყველაზე დაბალი დაფინანსებ კი სოხუმისა და ზუგდიდის უნივერსიტეტების თვითმართველობებს ერგოთ შესაბამისად 52 998 დ 42 991ლარებით.



8. სახელმწიფო უნივერსიტეტების მიერ წიგნების შესყიდვისთვის გამოყოფილი თანხები

მოთხოვნაზე მოეწოდებინათ ჩვენთვის 2010-2013 წლებში (ცალ-ცალკე წლების მიხედვით) საბიბლიოთეკო და არა საბიბლიოთეკო ფონდებისთვის (ცალ-ცალკე) წიგნების შესყიდვაზე გამოყოფილი და დახარჯული თანხების ოდენობის შესახებ ინფორმაცია, სრულყოფილი პასუხი მოგვაწოდა მხოლოდ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტებმა, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, თელავისა და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტებმა. დანარჩენი უმაღლესი სასწავლებლებიდან ინფორმაცია მოგვეწოდა არასრულყოფილი სახით, კერძოდ ინფორმაცია არ იყო ჩაშლილი წლების მიხედვით ან/და მოწოდებული არ იყო ცნობები ცალ–ცალკე საბიბლიოთეკო და არა საბიბლიოთეკო ფონდებისთვის.

მიღებული ინფორმაცია უნივერსიტეტების მიერ წიგნების შესასყიდად დახარჯული თანხების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ მოცემულ გრაფიკზე. **ამ შემთხვევაშიც ყველა დიდი თანხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (845 512 ლარი), ხოლო ყველაზე მცირე კი გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ (10 0263,9 ლარი) არის გამოყოფილი.**



9. სახელმწიფო უნივერსიტეტების მიერ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაზე გამოყოფილი და დახარჯული თანხები

კვლევის პერიოდი ყველა სახელმწიფო უნივერსიტეტს გაეგზავნა მოთხოვნა მათ მიერ 2010-2013 წლებში სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაზე გამოყოფილი და დახარჯული თანხების რაოდენობისა და დაფინანსების წყაროს შესახებ ინფორმაციის მიღების მიზნით. აღსანიშნავია, რომ მოცემულ მოთხოვნაზე სრულყოფილი პასუხი მოგვაწოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა, საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა, თელავისა და ზუგდიდი სახელმწიფო უნივერსიტეტმა. მოცემული კითხვა უპასუხოდ დატოვა გორის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, ხოლო სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და შოთა რუსთაველის უნივერსიტეტებმა ინფორმაცია არ მოგვაწოდეს მოთხოვნილი სახით.

მიღებული ინფორმაციიდან დგინდება, რომ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს 53 მილიონ ლარამდე აქვს დახარჯული 2010-2013 წლებში. ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტს კი სამეცნიერო კვლევით საქმიანობაზე სხვა უნივერსიტეტებთან შედარებით ყველზე ნაკლები თანხა 3 780 ლარის აქვს გამოყოფილი და დახარჯული.

10. ქვეყნის გარეთ განხორციელებული ვიზიტების სამივლინებო ხარჯები სახელმწიფო უნივერსიტეტებში

IDFI-იმ საქართველოში მოქმედ ყველა სახელმწიფო უნივერსიტეტს მიმართა შეკითხვით 2013 წელს რექტორისა და მისი მოადგილეების ქვეყნის გარეთ განხორციელებულ ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტებზე გაწეული სამივლინებო ხარჯების (სასტუმრო, მგზავრობა, დღიური და სხვა) შესახებ. ინფორმაცია მოთხოვნილი იყო ჩაშლილი ხარჯვითი კატეგორიების მიხედვით, მივლინების თარიღის, მივლინების მიზნისა და ქვეყნის მითითებით. სამივლინებო ხარჯების შესახებ სრულყოფილ ინფორმაცია მოგვაწოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, თბილისი სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა, გორის სასწავლო უნივერსიტეტმა, თელავისა და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტებმა. დანარჩენი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შემთხვევაში ინფორმაცია მოგვეწოდა არასრულყოფილი სახით.

მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე დგინდება, რომ 2013 წლის განმავლობაში **ყველაზე დიდი ოდენობით სამივლინებო ხარჯი გაწეული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს და ის 21 817.9 ლარს შეადგენს.** ყველაზე ნაკლები რაოდენობით სამივლინებო ხარჯი კი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ იქნა გაწეული. თუმცა კიდევ ერთხელ უნდა აღნიშნოს ის, რომ ინფორმაცია არ მოგვეწოდა სრულყოფილი სახით, შესაბამისად სავსებით შესაძლებელია ის არ ასახავდეს რეალურ სურათს.



11. გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებული შესყიდვები სახელმწიფო უნივერსიტეტებში

2013 წელს საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის თანახმად, გადაუდებელი აუცილებლობის განხორციელებული შესყიდვების სიისა და შესაბამისი მიწერილობების მიღების მოთხოვნით მიმართა ინსტიტუტმა უნივერსიტეტებს. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მიწერილობები არ მოგვაწოდა მხოლოდ ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტმა **(გორის სახელწიფო უნივერსიტეტმა განგვიმარტა, რომ დოკუმენტაცია პროკურატურის მიერ იყო ამოღებული),** შესყიდვების სია კი ყველა იმ უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ გამოგვიგზავნა რომლებმაც გადაუდებელი აუღებლებით შესყიდვა განახორციელეს. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტებმა გვაცნობეს, რომ გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვა უნივერსიტეტების მიერ 2013 წლის განმავლობაში არ განხორციელებულა.

როგორც ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე ჩანს, **გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებულ შესყიდვებზე ყველა დიდი ოდენობით თანხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (16 695.1 ლარი)**, ხოლო ყველაზე მცირე ოდენობით კი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიერ (1 670 ლარი) იქნა განკარგული. აღსანიშნავია რომ გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე შესყიდვა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიერ განხორციელდა მხოლოდ ორჯერ, ნარკოტიკული საშუალებების ფენტალინის (1000 ამპულა 0,005%) და მორფინი ჰიდროხლორიდის (500 ამპულა 1%) შესყიდვის მიზნით.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვა სულ 15-ჯერ განხორციელდა. ყველაზე დიდი ოდენობით თანხა დოზიმეტრის საყიდლად იქნა გამოყოფილი და მისი ღირებულება 12 340 ა.შ.შ. დოლარს უდრიდა.

გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებული შესყიდვები



12. სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ სტატისტიკა სახელმწიფო უნივერსიტეტებში

IDFI-იმ მიმართა უნივერსიტეტებს წერილობით განცხადებით მოეწოდებინათ ჩვენთვის 2010-2013 წლებში (ცალ-ცალკე წლების მიხედვით) სტუდენტებისათვის სტატუსის შეჩერების სტატისტიკა, სტუდენტის სტატუსის შეჩერების მიზეზების მიხედვით. ჩვენს შეკითხვაზე სრულყოფილი პასუხი მივიღეთ თბილსის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტისგან. არასრულყოფილი სახით ინფორმაცია მოგვაწოდა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტმა. ინფორმაცია არ მოგვაწოდა გორის სახელმწიფო უნივერსტიტეტმა.

აღსანიშნავია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ჩვენთვის მოწოდებული ინფორმაციის თანახმად 2010 წელს სტუდენტის სტატუსი **ფინანსური დავალიანების** გამო **შეუჩერდა 123 პირს, 2011 წელს – 113 სტუდენტს**. რაც შეეხება 2012–2013 წლებს, სამწუხაროდ ინფორმაცია ამ პერიოდის განმავლობაში სტუდენტის სტატუსის ფინანსური დავალიანების გამო შეჩერების შესახებ არ იქნა მოწოდებული მოცემული კატეგორიის მიხედვით.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ფინანსური დავალიანების გამო სტუდენტის სტატუსი შეუჩერდა 43 სტუდენტს 2009–2010 სასწავლო წლის განმავლობაში, 939 სტუდენტს შეუჩერდა მოცემული მიზეზით სტუდენტის სტატუსი 2010-2011 სასწავლო წელს, 790–ს – 2011-2012 სასწავლო წელს, 1108–ს – 2012–2013 სასწავლო წლის და 1192–ს 2013–2014 სასწავლო წლის განმავლობაში.

ფინანსური დავალიანების გამო სტატუს შეჩერებულ სტუდენტთა შესახებ ინფორმაცია მოგვაწოდა ასევე სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა. კერძოდ მოცემულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში 2011–2012 სასწავლო წლის განმავლობაში სტუდენტის სტატუსი შეუჩერდა 22 პირს, 2012–2013 სასწავლო წლის განმავლობაში – 40 პირს ხოლო 2013–2014 წლებში კი 15 სტუდენტს.

საქართველო ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ ჩვენთვის მოწოდებული ინფორმაციიდან დგინდება, რომ 2010 წელს სტუდენტის სტატუსი გადაუხდელობის გამო შეუჩერდა 676 პირს, 2011 წელს – 1521 პირს, 2012 წელს – 960 ხოლო 2013 წელს კი – 1441 სტუდენტს.

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში 210 წელს ფინანსური დავალიანების გამო სტუდენტის სტატუსი შეუჩერდა 47 პირს, 2012 – 20, ხოლო 2013 წელს – 30 სტუდენტს.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო სტუდენტის სტატუსი შეუჩერდა 83 სტუდენტს 2010–2011 სასწავლო წლის განმავლობაში, 67 პირს – 2011–2012 სასწავლო წლის განმავლობაში და 131 სტუდენტს 2012–2013 წლების განმავლობაში.



სხვადასხვა ფინანსური მონაცემების შედარება უნივერსიტეტებში

უნივერსიტეტებიდან მიღებული ინფორმაციიდან გამომდინარე საინტერესოა ერთმანეთს შევადაროთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ გაწეული სხვადასხვა ხარჯები, რაც თავის მხრივ შესაძლებელია მიუთითებდეს კონკრეტულ უნივერსიტეტების პრიორიტეტულ მიმართულებებზე. მაგალითისთვის ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია იმის შესახებ თუ სწავლის გადასახადის გადახდით მიღებული შემოსავლის რა ნაწილი იხარჯებოდა სამეცნიერო–კვლევით საქმიანობაზე. წარმოგიდგეთ ასევე შედარებას თვითმმართველობების დაფინანსებასა და წიგნების შესყიდვისთვის გათვალისწინებულ ხარჯებს შორის.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

როგორც ქვემოთ მოცემულ გრაფიკზეა გამოსახული, 2011 წელს მომდევნო წლებთან შედარებით ყველაზე მაღალი იყო როგორც თვითმმართველობის დაფინანსება ისე წიგნების შესაძენად გამოყოფილი თანხების ოდენობა. თუმცა ამასთან მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმასაც, რომ 2010–2013 წლების განმავლობაში თვითმმართველობის დაფინანსება მნიშვნელოვნად აღემატებოდა წიგნების შესასყიდად გამოყოფილი თანხების ოდენობას, ხოლო 2013 წელს კი ტენდენცია შეიცვალა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წიგნების შესაძენად გამოიყო მნიშვნელოვნად მეტი თანხა ვიდრე თვითმმართველობის დასაფინანსებლად. ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ თვითმმართველობის დაფინანსება 2011 წლიდან ეტაპობრივად მნიშვნელოვნად მცირდებოდა. კერძოდ თუ 2011 წელს თვითმმართველობის დაფინანსება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 657 533 ლარს წარმოადგენდა 2013 წელს აღნიშნული 151 287 ლარს გაუტოლდა.



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის შედეგად მიღებულ შემოსავალისა და სამეცნიერო–კვლევით საქმიანობაზე გამოყოფილ თანხების შედარების შედეგად ცხადად ჩანს, რომ სამეცნიერო–კვლევით საქმიანობის დაფინასების ყველაზე მაღალი პროცენტული ოდენობა 2011 წელს იყო და ის შემოსავლის 49.4 %–ს შეადგენდა. 2012 წელს ციფრი 39%–ს გაუტოლდა ხოლო 2013 წელს კი კვალ აიწია და 42.8% შეადგინა. ხაზგასასმელია ასევე ის, რომ 2010 წლიდან 2013 წლამდე მნიშვნელოვნად იზრდებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის საფასურის გადახდის შედეგად მიღებული შემოსვლის ოდენობა. 2010 წელს აღნიშნული ციფრი 27 873 589 ლარს უდრიდა, ხოლო 2013 წელს კი მაჩვენებელმა 44 925 493 ლარი შეადგინა.



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

როგორც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ინსტიტუტისთვის მოწოდებული ინფორმაციიდან დგინდება 2010–2013 წლების განმავლობაში წიგნების შესყიდვისთვის გამოყოფილი დაფინანსება ყოველ წელს აღემატებოდა სტუდენტური თვითმმართველობის დაფინანსებას. გამონაკლისს წარმოადგენდა 2012 წელი, როდესაც სტუდენტური თვითმმართველობის დაფინანსებამ მცირედით გაუსწრო საბიბლიოთეკო და არასაბაბლიოთეკო ფონდების შესავსებად გამოყოფილი თანხები ოდენობას. მნიშვნელოვანი ტენდენცია შეიმჩნევა 2013 წელს, როდესაც წიგნების შესყიდვისთვის გამოყოფილმა თანხამ დაახლოებით 3.7–ჯერ გაუსწრო თვითმმართველობის დაფინანსებას.



სტუდენტთა მიერ სწავლის საფასურის გადახდით მიღებული შემოსავლისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ სამეცნიერო–კვლევით საქმიანობაზე გამოყოფილი თანხების ერთმანეთთან შედარებით დგინდება, რომ სამეცნიერო–კვლევით საქმიანობაზე გამოყოფილი თანხების პროცენტული რაოდენობა ყველაზე მაღალი იყო 2012 წელს და ის სწავლის საფასურის გადახდით მიღებული შემოსავლის 27%–ს შეადგენდა. მომდევნო წლებში კი მოცემული თანაფარდობა იკლებდა, და 2013 წელს 10.2%–მდე შემცირდა. მნიშვნელოვანი ასევე აღინიშნოს ის, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მიღებული შემოსავალი 2010 წლიდან 2013 წლამდე მნიშვნელოვნად იზრდებოდა და 2013 წელს მიღებულმა შემოსავალმა დაახლოებით ორჯერ გაუსწრო 2010 წელს სწავლის საფასურის გადახდით მიღებული შემოსავლის ოდენობას.



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საქართველოს ტექნიკურ უნივერისტეტიდან მიღებული ინფორმაციიდან დგინდება, რომ წიგნების შესასყიდად გამოყოფილი თანხები 2010 –2013 წლების განმავლობაში არც ერთ წელს არ აღემატებოდა სტუდენტური თვითმმართველობის დაფინანსებას და პირიქით მნიშვნელოვნად ჩამოუვარდებოდა მას. ამასთან აღსანიშნავია, რომ როგორც სტუდენტური თვითმმართველობის ისე წიგნების შესასყიდად გამოყოფილმა თანხებმა ყველაზე მაღალ მაჩვენებელს 2012 წელს მიაღწია. 2013 წელს სტუდენტური თვითმმართველობის დაფინანსებამ კი ისევ დაიწია და თითქმის გაუტოლდა 2011 წლის მაჩვენებელს. რაც შეეხება წიგნების შესყიდვისთვის გამოყოფილ თანხებს, 2013 წელს აღნიშნული მიზნით დაფინანსებამ მნიშვნელოვნად იკლო და 2013 წელს საბიბლიოთეკო და არასაბიბლიოთეკო ფონდის შესავსებად გამოყოფილი თანხა თითქმის 2.2–ჯერ ჩამოუვარდა 2012 წლის მაჩვენებელს.



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან მიღებული ინფორმაცია ცხადყოფს, რომ 2010–2013 წლების განმავლობაში უნივერსიტეტის მიერ სამეცნიერო–კვლევით საქმიანობაზე გამოყოფილი თანხები სწავლის საფასურის გადახდით მიღებული შემოსავლის მხოლოდ

მცირედ ნაწილს წარმოადგენდა. კერძოდ აღნიშნული ციფრი 2010–2013 წლების განმავლობაში 5.8%–დან 6.8%–მდე მერყეობდა. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სამეცნიერო–კვლევით საქმიანობაზე გამოყოფილი თანხების შეფარდება სწავლის საფასურის გადახდის გზით მიღებულ შემოსავლებთან მნიშვნელოვნად დაბალია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტებსა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტებში არსებულ იგივე მაჩვენებლებთან შედარებით. მაგალითად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2013 წელს სამეცნიერო–კვლევით საქმიანობაზე გამოყოფილი ფინანსები უნივერსიტეტის სწავლის გადასახადის გადახდით მიღებული შემოსავლის 42%–ს უდრიდა.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მსგავსად სხვა უნივერსიტეტებისა 2010 წლიდან 2013 წლამდე ეტაპობრივად იზრდებოდა სტუდენტთა სწავლის გადასახადის გადახდით მიღებული შემოსავალი. 2010 წელს აღნიშნული ციფრი 20 854 954 ლარი იყო ხოლო 2013 წელს კი აღნიშნული 33 437 819 ლარი შეადგენდა.

სტუდენტთა მიერ სწავლის საფასურის გადახდით მიღებული შემოსავლისა და სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის დაფინანსების თანაფარდობა
2010–2013 წლები
www.idfi.ge



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

როგორც ქვემოთ მოცემული გრაფიკი ცხადყოფს, წიგნების შესასყიდად გამოყოფილი თანხები მნიშვნელოვნად იცვლებოდა 2010–2013 წლების განმავლობაში, ხოლო სტუდენტური თვითმმართველობის დაფინასება არ განიცდიდა რაიმე მნიშვნელოვან მატებას ან ნაკლებობას. 2010 წელს წიგნების შესყიდვისთვის გამოყოფილი თანხა 236 587.22 ლარს უდრიდა და ის საგრძნობლად აღემატებოდა იმავე წელს სტუდენტური თვითმმართველობის დაფინანსებას. 2011 წელს მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტური თვითმმართველობის დაფინანსება მნიშვნელოვნად არ შეცვლილა დაეცა საბიბლიოთეკო და არასაბიბლიოთეკო ფონდის შესავსებად გათვალისწინებული თანხების ოდენობა, რის გამოც ის საგრძნობლად ჩამოუვარდა იმავე წლის თვითმმართველობის დაფინანსებას. 2012 წელს თვითმმართველობისა და წიგნების შესასყიდად გამოყოფილი თანხები ერთმანეთისგან მხოლოდ მცირედით განსხვავდებოდა, ხოლო 2013 წელს კი კვლავ დაეცა წიგნების შესყიდვისთვის გამოყოფილი დაფინანსება და ის მნიშვნელოვნად ჩამოუვარდა იმავე წლის სტუდენტური თვითმმართველობის დაფინანსებას.



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიერ ჩვენთვის მოწოდებული ინფორმაციიდან გამომდინარე დგინდება, რომ მოცემულ უნივერსიტეტში მსგავსად სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის გზით მიღებული შემოსავალი 2010–2013 წლების განმავლობაში ეტაპობრივად იზრდებოდა. ამასთან მიუხედავად აღნიშნული შემოსავლის გაზრდისა მნიშვნელოვანი ცვლილება არ შეინიშნებოდა სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის დაფინანსების მხრივ. სწორედ ამის გამო 2013 წელს სამეცნიერო–კვლევით საქმიანობის დაფინანსებამ უნივერსიტეტის შემოსავალთან მიმართებით ყველაზე დაბალ ნიშნულს მიაღწია და მან სტუდენტთა მიერ სწავლის საფასურის გადახდის გზით მიღებული შემოსავლის მხოლოდ 7.9 % შეადგინა.

სტუდენტთა მიერ სწავლის საფასურის გადახდით მიღებული შემოსავლისა და სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის დაფინანსების თანაფარდობა
2010–2013 წლები
www.idfi.ge



დასკვნა

IDFI-იმ მიერ ჩატარებული კვლევისა და უნივერსიტეტებიდან მიღებული საჯარო ინფორმაციის ანალიზის შედეგად დასკვნის სახით შესაძლებელია ითქვას, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მხრივ მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისგან.

მაგალითად, დადებითად უნდა შეფასდეს თელავის სასწავლო უნივერსიტეტსა და თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტში დანერგილი საჯარო ინფორმაციის გაცემის პრაქტიკა. ამ უნივერსიტეტებმა ინტიტუტის თითქმის ყველა შეკითხვას სრულყოფილი პასუხი გასცეს. მნიშვნელოვანი პოზიტიური ცვლილება შეინიშნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის კუთხით.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, რიგ უნივერსიტეტებში შეიმჩნევა ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ხარვეზები. პრობლემურია მაგალითად ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ რექტორსა და მის მოადგილეებზე გაცემული პრემიებისა და დანამატების შესახებ ჩვენი კითხვის უპასუხოდ დატოვება. რიგ შემთხვევებში ხარვეზებს წავაწყდით სამივლინებო ხარჯების შესახებ ინფორმაციის მიღებისას, როდესაც კონკრეტული უნივერსიტეტების მიერ არ მოგვეწოდა ინფორმაცია მივლინების მიზნების შესახებ. განსაკუთრებით პრობლემურია ის, რომ ჩვენს მიერ გაგზავნილი საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ განცხადება უპასუხოდ დატოვა აკაკი წერეთელის სახელმწიფო უნივერსიტეტმა.

უნდა აღინიშნოს, რომ კვლევაში მონაწილე ყველა უნივერსიტეტმა, გარდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა ინფორმაცია არ მოგვაწოდა კანონმდებლობით გათვალისწინებულ 10 დღის ვადაში.

ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ წინა კვლევის პერიოდთან შედარებით უნივერსიტეტთა უმრავლესობაში გაუარესებულია ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი. კერძოდ აღნიშნული ტენდენცია შეიმჩნევა ილია სახელმწიფო უნივერსიტეტში, სოხუმის, ზუგდიდისა და გორის სახელმწიფო უნივერსიტეტებში. მიუხედავად ამისა წინა კვლევისგან განსხვავებით მნიშვნელოვანი გაუმჯობესება შეიმჩნევა თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ამ უკანასკნელ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი 26.7%–ით არის გაზრდილი, რაც ნამდვილად მისასალმებელი ფაქტია, რადგან წლების განმავლობაში, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სამწუხაროდ არ გამოირჩეოდა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაღალი მაჩვენებელით.

ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი საქართველოს სახელმწიფო უნივერიტეტებში
www.idfi.ge